14-39 დადგენილება მიღებული იქნა 2016 წლის 24 მაისს, მისი 40-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ აღნიშნული დადგენილების ძალაში შესვლამდე (ანუ, 2016 წლის 24 მაისამდე) ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, მაშინ ვრცელდება ის კანონმდებლობა, რომელიც არსებობდა განაშეიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების განაცხადის შეტანის მომენტისთვის, გარდა იმ შემთხვევისა თუ 14-39 დადგენილება უფრო ხელსაყრელია განმცხადებლისთვის და განმცხადებელი თვითონ ითხოვს მის გამოყენებას.

განსახილველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება გაიცა არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 17 ივნისის N 714737 გადაწყვეტილებით.

ამ შემთხვევაში, ჩვენ არ ვითხოვთ 14-39 დადგენილების გავრცელებას. ჩვენი მოთხოვნაა წინამდებარე განაცხადი განხილული იქნას 4-13 გადაწყვეტილების მიხედვით. (აღნიშნულ ტერიტორიაზე გაცემული ყველა სხვა სამშენებლო ნებართვის მსგავსად, რომლებიც 4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად გაიცა, და არა 14-39-ის შესაბამისად).

აქვე მოგახსენებთ, რომ ეს განცხადება არაა AR1869194 და AR1868235 განცხადებების იდენტური, რადგან სახეზეა ახალი გარემოება: ჩვენს მიერ მოთხოვნილია განცხადების 4-13 გადაწყვეტილებით განხილვა. (მაშინ როცა წინა ორი განხილული იქნა 14-39 დადგენილების შესაბამისად).

დამატებით მოგახსენებთ, რომ 4-13 გადაწყვეტილება არ ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის ნაწილზე კედლის აღმართვის აკრძალვას. ჩვენს მიერ მოთხოვნილა სწორედ ეს და არა მიწის ნაკვეთის მთელი პერიმეტრზე ღობის აღმართვა.

საპროექტო კედელი

გეგმა
მასშტაბი 1:200

ორთოფოტო

მასშტაბი 1:250

